

დარიცხვისა და გადახდის წესები

- თქვენ მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დარიცხვა ხორციელდება ინდივიდუალურად.
- ელექტროენერჯის აღრიცხვა ხორციელდება ყოველთვიურად და, შესაბამისად, ქვითარიც მოგეწოდებათ ყოველთვიურად, შეძლებისდაგვარად ერთსა და იმავე დროს.
- თქვენ მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური, რომელიც სრულად არის ასახული ქვითარში, უნდა გადაიხადოთ ქვითარში მითითებულ ვადაში.
- თუ თქვენ არ გადაიხადეთ დავალიანება ქვითარში მითითებულ ვადაში, გამანაწილებელი კომპანია უფლებამოსილია შეგიწყვიტოთ მომსახურება (გაგითიშოთ ელექტროენერჯია).
- გათიშვის შემთხვევაში თქვენ მიერ დავალიანების სრულად დაფარვიდან არა უმეტეს რვა საათში კომპანიამ უნდა მოახდინოს მომსახურების აღდგენა.
- **ქვითრის არმიღება არ განთავისუფლებთ გადასახადისგან.** გადახდა შესაძლებელია აბონენტის ნომრის მითითებით.
- **დაუშვებელია დავალიანების გამო ელექტროენერჯის გათიშვა საღამოს საათებში, უქმე ან დასვენების დღეებში და მათ წინ.**
- თუ თქვენ გერიცხებათ დავალიანება, რომელსაც ვერ იხდით, შეგიძლიათ მიმართოთ გამანაწილებელი კომპანიის შესაბამის სერვის ცენტრს განწილვადების შესახებ თხოვნით და ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში გააფორმოთ ხელშეკრულება.
- თქვენ ასევე შეგიძლიათ წინასწარ გადაიხადოთ გარკვეული თანხა. ეს თანხა გათვალისწინებული იქნება მომდევნო ანგარიშსწორებისას.
- თუ ელექტროენერჯის მრიცხველი დამონტაჟებულია თქვენს კუთვნილ ტერიტორიაზე (მათ შორის საცხოვრებელ ბინაში) და თქვენი ბრალით ვერ მოხდება მრიცხველის წაკითხვა, გამანაწილებელ კომპანიას უფლება აქვს, დაგარიცხოთ ერთი თვის პერიოდზე გადასახდელი, რომელიც გამოითვლება თქვენ მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის საშუალო თვიური მოხმარებიდან (სეზონურობის გათვალისწინებით). განსხვავება რეალურ და დარიცხულ მოხმარებას შორის გასწორდება (გადაანგარიშდება) შემდგომში თქვენი მრიცხველის რეალური ჩვენების შესაბამისად.
- თუ თქვენ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში ორზე მეტად გადააცილეთ გადახდის ვადას, ან გაგეთიშათ მომსახურება უკანონოდ მოხმარებისათვის, კომპანია უფლებამოსილია მოგთხოვოთ საშუალოდ თვიურად გახარჯული თანხის ოდენობის დეპოზიტზე შეტანა.

კომპანიის მიერ მოთხოვნილი დეპოზიტზე შეტანილი თანხა დაგიბრუნდებათ, თუ:

- თქვენ უარს იტყვით მომსახურებაზე და საბოლოო ანგარიშსწორებისას სრულად დაფარავთ დარიცხულ თანხას;
- 12 თვის განმავლობაში სრულად და დროულად გადაიხდით დარიცხულ თანხას.

თუ თქვენ დარეგისტრირდით აბონენტად დროებით თქვენს სარგებლობაში არსებულ მისამართზე, გამანაწილებელ კომპანიას უფლება აქვს მოგთხოვოდ დეპოზიტზე თანხის შეტანა.